ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1944448

ნომერი: AR1316410

თარიღი : 08.06.2015

გაცემის თარიღი : 25.06.2015

გაცნობის თარიღი : 26.06.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკადემქალაქის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ორგანიზაცია:
- ფლექს არქიტექტურა კოდი: 4049201216

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქ. თბისილის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 8 ივნისს AR1316410 განცხადებით მომართა მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულზე #01.10.13.040.089 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების

მომზადება. სამსახურს საქმეზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების გამოკლევისა და შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ ირაკლი მაზიაშვილს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულზე #01.10.13.040.089 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებაზე უნდა ეთქვას უარი შემდეგ გარემოებათა გამო: "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების მე-18 მუხლის I პუნქტის თანახმად, "უფლებრივი ზონირების განხორციელების მიზნით დედაქალაქის ტერიტორია იყოფა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გადაწყვეტის შესაბამის ზოგად ფუნქციურ და განაშენიანების რეგულირების გეგმების გადაწყვეტის შესაბამის კონკრეტულ ფუნქციურ ქვეზონებად. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ განმცხადებლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (#01.10.13.040.089) "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში. ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის გააჩნია მაღალქანობიანი ისტორიულად ჩამოყალიბებული რელიეფი, წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ ტერიტორიას, რომელიც არასდროს ყოფილა განაშენიანებული. ასევე მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური სატრანსპორტო მაგისტრალის მიმდებარედ. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს აკადემქალაქის საზოგადოებრივ–საქმიანი ზონის სარეკრეაციო ნაწილს და მრავალწლოვანი ხე–ნარგავებით გაშენებულ ფერდობს. აღნიშნული სარეკრეაციო ზოლი ასრულებს მნიშვნელოვან სარეკრეაციო და ნიადაგის დამჭერ ფუნქციას ქალაქის ამ ნაწილისთვის და თავისი მწვანე მასით აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას.
სამსახურის წესდების (დებულების) თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ასევე, სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას განეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის პოლიტიკის რეალიზაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავება, მათში ცვლილებების შეტანა და დადგენილი წესით მათი დამტკიცება. გარდა ამისა, ამავე დებულების შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას წარმოადგენს ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის რეგულირება. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა- ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე იგი არ მოდის შესაბამისობაში არსებულ არქიტექტურულ გარემოსთან და მისი სამშენებლო განვითარებაგამოიწვევს დისონანს არსებულ განაშენიანებაში.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ირაკლი მაზიაშვილს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკადემქალაქის მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულზე #01.10.13.040.089 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაგეგმარებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.